პრაქტიკული დავალება

სახ. გვარი: მარიამ ივანიძე

თემა: მიგრაცია და სოციალური მობილობა

დღე 1: გათენდა დილა, უკვე ადგომის დროა რადგან ცეცხლის ბურთი ამოვიდა. სახლში საკვები არ არის ამიტომ სანადიროდ უნდა წავიდეთ. ტომის კაცები სანადიროდ წავიდნენ და მოინადირეს კიდეც, რაც შეგვეხება ჩვენ ქალებს მცენარეების მოსატანად წავედით. დღეს განსაკუთრებული საქმე არ მაქვს რადგან ხვალისათვის ვინახავთ ენერგიებს. ამიტომ გადავწყვიტე მამაჩემის მესამე ცოლის მოსანახულებლად წავსულიყავი.

დღე 2: დღეს განსაკუთრებული დღეა რადგან ტომის ერთ-ერთმა წევრმა ჰონტომ გამოცდა უნდა ჩააბაროს, თუ ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს უცოლო დარჩება. ის ხარებს უნდა გადაახტეს და თუ ამას შეძლებს მაშინ მისი მშობლების მიერ არჩეულ გოგონას მოიყვანს ცოლად. რიტუალი დაიწყო და ჰონტომ დიდი ძალისხმევის შედეგად რიტუალის შესრულება შეძლო. 6 ხარს გადაახტა და სხვათა შორის არაფერი მოუტეხავს.

დღე 3: დღეს ბევრი შრომა გვიწევს რადგან მთელი ტომი მივდივართ სანადიროდ, შესაძლოა ჩვენი ამჟამინდელი ადგილმდებარეობის დატოვებაც მოგვიწიოს რადგან საკვები და

წყალი გვაქვს მოსაპოვებელი. თუმცა ჩვენ ამას მიჩვეულები ვართ. ჯერ კაცები წავლენ სანადიროდ და თუ მათ ვერაფერი მოინადირეს, იძულებულები ვართ დავტოვოთ ჩვენი ადგილი და სხვაგან გადავსახლდეთ.

დღე 4: დღეს მზის ამოსვლამდე სხვა ადგილას გადასახლება გვიწევს. რადგან აქ უკვე საკვები რთული მოსაპოვებელია, თანაც ჩვენ ლიდერი არ გვყავს. ჩვენ შეგვიძლია დავტოვოთ ჩვენი ტომი და ქალაქში წავიდეთ საცხოვრებლად, თუმცა ჩვენ ერთმანეთს არ ვტოვებთ. გადავსახლდით სხვა ტერიტორიაზე სადაც შედარებით მეტი ნადავლია.

დღე 5: დღეს ძალიან ჩვეულებრივი დღე იქნება, დილით მზის ამოსვლის თანავე ავდექით, მოვემზადეთ სანადიროდ წასასვლელად, როგორც ქალები, ასევე კაცები. კაცები ნადირობენ ცხოველებზე და უფრო საფრთხის შემცველ საქმეებზე დადიან, ხოლო ქალები ბალახების და მცენარეების მოსაპოვებლად წავედით. ჩვენ მათ ვიყენებთ როგორც საკვებში ისე სამკურნალოდ. მაგალითად ბებიაჩემი დიდ მცენარეებს ჭურჭლადაც იყენებს.

დასკვნა: ისეთ ტომს როგორიცაა კუნგის ბუშმენები, რთული ცხოვრების წესი აქვთ, მათ ხშირად უწევთ მიგრაცია, რადგან უნდა გადასახლდნენ იქ სადაც საკვები მეტია. მათთან არ არსებობს დრო, საათი, წლები. მათ შორის არ არსებობს მდიდარი და ღარიბი რადგან ისინი ერთნაირად ცხოვრობენ, თუმცა მათ ტომში ყურადღება ექცევა ცოდნას და გამოცდილებას, მაგალითად რამდენად კარგი და გამოცდილი მონადირე ხარ, ქალების გამოყენებაშემთხვევაში რამდენად კარგად იცი მცენარეების ამოცნობა და. ასევე მათ

გააჩნიათ ერთმანეთის და თავიანთი ტომის პატივისცემა, რადგან მიუხედავად იმისა რომ, მატ არ ყავთ ტომის ბელადი და თავისუფლად შეუძლიათ დატოვონ ტომი უკეთესი ცხოვრების დასაწყებად თუმცა ამას არავინ აკეთებს.